

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო ტექნოლოგიების გადაცემის საპილოტე პროგრამა (TTPP)

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა

მარტი 2020

შესავალი

ტექნოლოგიების გადაცემის საპილოტე პროგრამა არის მიმღების მხარის განსახორციელებელი (RE) საგრანტო პროექტი, რომელიც დაფინანსებულია ევროკავშირისა და მსოფლიო ბანკის ევროპასა და ცენტრალურ აზიაში თანამშრომლობის პროგრამის ფარგლებში. პროგრამის განხორციელება, მონიტორინგი და ანგარიშგება განხორციელდება მსოფლიო ბანკის ჯგუფის პროცედურების და გაიდლაინების მიხედვით, როგორც ბანკის ასევე მიმღების მხარის განსახორციელებელ კომპონენტზე. ბანკის განსახორციელებელი (BE) კომპონენტი განხორციელდება მსოფლიო ბანკის მიერ. საჭიროებისამებრ, იგი დააკონტრაქტებს ადგილობრივ და საერთაშორისო კონსულტანტებს პროგრამის გარკვეული დავალებების შესასრულებლად. მიმღები მხარის განსახორციელებელი (RE) კომპონენტი კი განხორციელდება საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ, მისი გუნდისა და კონსულტანტების მეშვეობით. ხელმძღვანელობას გაუწევს საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მმართველი გუნდი, მსოფლიო ბანკის ტექნიკური მხარდაჭერით. აღნიშნული დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა ეხება პროგრამის მიმღები მხარის განსახორციელებელ (RE) კომპონენტს.

ა. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის (SEP) მიზანი

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის (SEP) მიზანია გამოკვეთოს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის მეთოდები და სამიზნე ჯგუფები, ასევე ის ვალდებულებები რაც დაკავშირებულია დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის აქტივობების განხორციელებასთან. SEP-ის მიზანია დროულად მოახდინოს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის უზრუნველყოფა პროგრამის მომზადებასა და განხორციელებაში. აღსანიშნავია, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის შემდეგი მიზნები:

- I. დაინტერესებულ მხარეთა გამოვლენა და ანალიზი
- II. ჩართულობის მოდალობების, კონსულტაციებისა და ინფორმაციის განდობის ეფექტური კომუნიკაციის საშუალების დაგეგმვა

- III. SEP-ის განხორციელებისას სხვადასხვა მხარეების როლებისა და პასუხისმგებლობების განსაზღვრა
- IV. პროგრამის საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების მექანიზმის (GRM) განსაზღვრა
- V. დაინტერესებულ მხარეთაგან უკუკავშირის მიღება
- VI. SEP-ის მონიტორინგი და ანგარიშგება

ბ. პროგრამის აღწერა

ტექნოლოგიების გადაცემის საპილოტე პროგრამის მიზანია საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს კომპეტენციის გაზრდა, რათა მოახდინოს ტექნოლოგიების გადაცემის პოტენციალის შემოწმება და დემონსტრირება.

პროგრამა თანხვედრაშია იმ მნიშვნელოვან ინიციატივებთან, რომლის მიზანია GITA-ს კომპეტენციის გაზრდა საქართველოს ეროვნული ინოვაციების ეკოსისტემის პროექტი (GENIE)-სა და სხვა GITA-ს ინიციატივებით.

TTPP-ს მოსალოდნელი შედეგია იმ სამეცნიერო გამოგონებების რაოდენობის გაზრდა, რომელიც პასუხობს ბაზრის საჭიროებებს და ასევე ეკონომიკური აქტოვობების ინოვაციურობის სტიმულირება.

ტექნოლოგიების გადაცემის საპილოტე პროგრამის მიზანია:

- სახელმწიფო უნივერსიტეტებსა და კვლევით ინსტიტუტებში შექმნილი გამოგონებების კომერციალიზაციის პოტენციალის შემოწმება, და ასეთის არსებობის შემთხვევაში მისი დემონსტრირება.
- საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოსა და პარტნიორი ორგანიზაციების კომპეტენციების ზრდა ტექნოლოგიების გადაცემისა და კომერციალიზაციის პროცესზე, იდეის წარდგენიდან ხელშეკრულების გაფორმებამდე.

TTPP-ს ფარგლებში ბენეფიციარები მიიღებენ შემდეგი სახის დახმარებას:

- **კომერციალიზაციაში დახმარება**, რაც გულისხმობს რჩევებს ტექნოლოგიების გადაცემის პროცესის ყველა ასპექტში, ინოვაციის გამჟღავნებიდან, ტექნოლოგიის კომერციალიზაციისთვის შეფასებასა და კომერციულ პარტნიორთან მოლაპარაკებამდე. ასევე ბიზნეს შეთანხმებასა და მის მონიტორინგში დახმარება. (შემდგომ მოხსენიებულია როგორც: კომერციალიზაციაში დახმარება).
- **ტექნოლოგიის განვითარებაში დახმარება** ფინანსური სახსრებით (იურიდიულ, კომერციულ და ტექნიკურ საკითხებში, ინდუსტრიული ტესტირება და ა.შ), რათა კომერციალიზაციის შესაძლებლობა გაიზარდოს. (შემდგომში მოხსენიებული როგორც: განვითარებაში დახმარება)
- სხვა სახის დახმარებები, როგორცაა ტექნოლოგიის განვითარების მიზნით პოტენციური მკვლევარების დაკავშირება ინდუსტრიულ პარტნიორებთან. TTPP-ის

ფარგლეში ინდუსტრიასა და კვლევით დაწესებულებათა დაკავშირებისთვის შემოთავაზებული იქნება სერვისები: სამეცნიერო-კვლევითი ხელშეკრულებები, მომსახურების ხელშეკრულებები, ბიზნეს ინტელექტი და ასევე პროექტების მომზადებაში დახმარება სხვა დონორ ორგანიზაციებთან წარსადგენად.

გ. პროგრამის სოციალური და გარემოსდაცვითი რისკების და გავლენის შეჯამება

პროგრამა შეფასებულია როგორც დაბალი რისკის მქონე, რადგან მის აქტივობებს აქვს დაბალი გავლენა, პროგნოზირებადია და გამახორციელებელ სააგენტოს აქვს მსგავსი აქტივობების განხორციელების გამოცდილება. პროგრამა პირდაპირ არ დააფინანსებს სამოქალაქო საქმიანობას და ასევე არ აქვს უარყოფითი გავლენა ნიადაგზე, ბიომრავალფეროვნებასა და კულტურულ მემკვიდრეობაზე. ასევე პროგრამა არ დააფინანსებს არცერთ იმ აქტივობას, რომელიც მსოფლიო ბანკის IFC განხორციელების სიაშია. ეკოლოგიური რისკები მცირე მასშტაბისა, აქვს დროებითი ხასიათი და უშუალოდ დაკავშირებულია პროგრამით განსაზღვრულ ინვესტიციებთან და TA აქტივობებთან.

რამდენიმე შემთხვევაში საჭირო იქნება რისკების შემამსუბუქებელი ღონისძიებები, რათა გავუმკლავდეთ ჩამდინარე წყლების, საცხოვრებელი, სამრეწველო და სახიფათო ნარჩენების გატანას. ნებისმიერი აქტივობა, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს ზომერი ან მნიშვნელოვანი სოციალური და ეკოლოგიური ზემოქმედება, მათ შორის მიწის ან აქტივების უნებართვო ზემოქმედება და არაპროგნოზირებადი ეკოლოგიური რისკები, მოსახლეობის ჯანმრთელობა და უსაფრთხოებაზე ნებისმიერი უარყოფითი ზეგავლენა დაუშვებელია, პროგრამის გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგის პროცედურების საშუალებები იქნება გამოყენებული, რათა განისაზღვროს საგრანტო მოთხოვნები. ნებისმიერი მცირე ზემოქმედება იდენტიფიცირებული იქნება გარემოსდაცვითი და სოციალური სკრინინგის საშუალებით და ESMP-ს გამოყენებით იქნება განხილული.

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის უკვე განხორციელებული აქტივობები პროგრამის ფარგლებში

ტექნოლოგიების გადაცემის საპილოტე პროგრამის მომზადების ფაზასა და დაწყების პერიოდში (მარტი 2019), გუნდი შეხვდა თბილისში განთავსებულ დაახლოებით ათ კვლევითი დაწესებულების (RDIs) წარმომადგენელს (ადმინისტრაცია, მეცნიერები და სხვა თანამშრომლები) რათა გაეცნოთ TTPP, განესაზღვრათ პროგრამის პოტენციური მონაწილეთა ინტერესი და უკეთ გაეგოთ პოტენციური გამოწვევები, რომელიც შეიძლება წარმოშობილიყო

პროგრამის განხორციელების დროს. შეხვედრა ასევე განხორციელდა კვლევით (RDIs) და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ბათუმსა და ქუთაისში.

საერთო ჯამში, 100-ზე მეტი სამეცნიერო ჯგუფი ესწრებოდა პრეზენტაციებსა და ინდივიდუალურ შეხვედრებს, სადაც პროგრამის გუნდმა გააცნო TPPP-ს შესახებ ინფორმაცია, ასევე თუ რა პოტენციური სარგებელი ექნებოდათ მონაწილეებს და რა სახის მხარდაჭერას მიიღებდნენ სამეცნიერო გუნდები.

ამ შეხვედრების საშუალებით პროგრამის გუნდმა ასევე დაიწყო კომერციალიზაციის პოტენციალის მქონე კვლევითი ინიციატივების შესახებ მონაცემების შეგროვება, ამ მიზნით მოწვეულ იქნენ სამეცნიერო გუნდები რათა წარმოედგინათ თავიანთი მიმდინარე კვლევები და პროექტები.

გარდა ამისა, პროგრამის სხვა დაინტერესებულ მხარეებთან მოხდა შეხვედრა. მათ შორის: რუსთაველის სამეცნიერო ფონდი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ფინანსთა სამინისტრო, სახელმწიფო სერვისების მიწოდების სააგენტო, აწარმოე საქართველოში, საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი და განათლების ხარისხის გავითარების ეროვნული ცენტრი. პროგრამის ფარგლებში ჩატარდა კვლევა კომპანიების საჭიროებების და მოთხოვნების უკეთ გამოსავლენად. ინტერვიუ ჩატარდა EU4Biz-ის და EBRD წარმომადგენლებთან, ასევე MIT-ის ყოფილ წევრებთან, რომლებმაც ჩაატარეს წინასწარი ტექნოლოგიების კომერციალიზაციის შეფასება.

დაინტერესებული მხარეების მხრიდან მიღებული უკუკავშირი ცხადყოფს, რომ TPPP პასუხობს RDI-ების მოთხოვნებსა და საჭიროებებს, მათ შორის მათაც ვისაც უკვე აქვს ტექნოლოგიების გადაცემის ოფისები. მიუხედავად იმისა, რომ RDI-ების უმეტესობა უკვე ესწრებოდა კვლევების კომერციალიზაციის სხვადასხვა სასწავლო სესიებსა და ტურებს, დაინტერესებული მხარეები აღნიშნავენ, რომ TPPP ინიციატივა საქართველოში პირველია, რომელიც სწორედ კომერციალიზაციის გარიგებებს უზრუნველყოფს, ამავე დროს ცოდნას პრაქტიკულად გადასცემს მონაწილე მხარეებს.

GITA-ს მიერ ორგანიზებული ტექნოლოგიების გადაცემის საპილოტე პროგრამა საზოგადოების მხრიდან დადებითად იქნა მიღებული, რადგან GITA აღიქმება ორგანიზაციად, რომელიც ბაზარზე და ბიზნესის საჭიროებებზეა ორიენტირებული, და არა მხოლოდ სამეცნიერო კვლევებთან აქვს შეხება. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაინტერესებულმა მხარეებმა გამოთქვეს მოსაზრება, საქართველოს RDI-ებში არსებული რთული იურიდიული და ადმინისტრაციული სტრუქტურის შესახებ, ასევე გამოგონების მფლობელობის შესახებ პოტენციური დავები შეიძლება იყოს ხელისშემშლელი ტექნოლოგიების გადაცემისთვის. აღნიშნულმა კი ხელი შეუშალოს GITA-სა და ტექნოლოგიების გადაცემის ეკოსისტემის მონაწილეთა შორის ხელშეკრულებების გაფორმებას.

პროგრამის დაწყების პერიოდში გამოიკვეთა, რომ სამეცნიერო ჯგუფების დიდმა ნაწილმა არ იცოდა თუ როგორ მოეხდინათ მათი გამოგონებების კომერციალიზაცია. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე წარმატების მაგალითი არსებობს ქვეყანაში, მთლიანი ტექნოლოგიების

გადაცემის ეკოსისტემა არა არის სათანადოდ აღჭურვილი ნოუ-ჰაუს, კომერციალიზაციის ტექნიკის, სტანდარტული პროცედურებით და ა.შ.

TTPP-ს გადმოსახედიდან ძალიან ცოტა პროექტია კომერციალიზაციისთვის მზად და ბევრია სამუშაო რათა გამოიკვეთოს ის თუ ვინ არის გამოგონების მფლობელი, რა არის ინტელექტუალური საკუთრების სტატუსი, კვლევის ტესტირების ხარისხი რამდენად შეესაბამება სტანდარტებს და ა.შ. კომერციალიზაციის სამოქმედო გეგმები სწორედ ამ საჭიროებებს დაეთმობა, რათა აღმოიფხვრას აღნიშნული ხარვეზები.

პროგრამის განვითარება ასევე გულისხმობს პარადიგმის შეცვლას თუ როგორ ფინანსდება გამოყენებითი კვლევითი პროექტები საქართველოში და RDI-ბმა შეუსაბამონ თავიანთი პროცესები საერთაშორისო პოზიტიურ გამოცდილებას.

დაინტერესებული მხარეების იდენტიფიკაცია და ანალიზი

პროგრამას რამდენიმე დაინტერესებული მხარე ჰყავს, როგორც სამთავრობო, ასევე კერძო სექტორიდან, სამეცნიერო საზოგადოებიდან და დონორი ორგანიზაციებიდან, რომლებიც საქართველოში ინოვაციებისა და სამეწარმეო ეკოსისტემაში ჩართულები არიან. დაინტერესებულ მხარეთა რისკი არის ზომიერი და ფოკუსირებულია კოორდინაციის საჭიროებაზე პროგრამის პერიოდში.

პროექტის ფარგლებში დაინტერესებული მხარეები არიან:

1. **საჯარო და კერძო კვლევითი დაწესებულებები** - RDI-ები ისარგებლებენ თავიანთი დასაქმებულების მიერ შემუშავებული ტექნოლოგიების კომერციალიზაციით. RDI-ების ინოვაციური ტექნოლოგიების შეფასება, შესაძლებლობას აძლევს RDI-ს რათა ფოკუსირება მოახდინონ სტრატეგიულ პროექტებზე, რომელთაც აქვთ უფრო მაღალი კომერციალიზაციის პოტენციალი. კომერციალიზაციიდან მიღებული პოტენციური შემოსავალი საშუალებას მისცემთ გრძელვადიანი სტრატეგია დაგეგმონ და ასევე გაზარდონ თავიანთი კვლევისა და განვითარების შედეგები.
2. **მკვლევარები/მეცნიერები** - GITA-ს მიერ გამოყენებითი კვლევებისა და ტექნოლოგიების კომერციალიზაციის შესაძლებლობა, მკვლევარებს ხელს შეუწყობს შემდეგი მექანიზმებით: ფინანსური სახსრები გამოიყენონ თავიანთი პროექტების განსავითარებლად და მიმზიდველი გახადონ პოტენციური ბიზნეს პარტნიორებისთვის. TTPP-სთან დაკავშირებული დოკუმენტების და ფორმების მომზადება გააუმჯობესებს მათ შესაძლებლობას მონაწილეობა მიიღონ სხვა კვლევით გრანტებში და გამოიმუშაონ სამეწარმეო აზროვნება.
3. **კერძო სექტორის საწარმოები და ინვესტორები** - გამოიკვეთება ბიზნეს-აკადემიური თანამშრომლობის ახალი შესაძლებლობები. მათ ექნებათ წვდომა ქართველი მეცნიერებისა და RDI-ბის უახლეს სამეცნიერო გამოყენებით კვლევებთან და

ტექნოლოგიებთან. გარდა ამისა, სამეცნიერო საზოგადოებასთან კომუნიკაციის არხი შეიქმნება ბიზნესის სექტორის ინოვაციური საჭიროებების შესაბამისად.

4. **ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ხელმძღვანელობა** - RDI-ებში მიმდინარე გამოყენებითი კვლევების შესახებ უახლესი ინფორმაცია, რაც გააძლიერებს მათ კავშირებს აკადემიურ სექტორთან. ასევე აკადემიური სექტორის სხვა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პროექტებთან დაკავშირება.
5. **GITA თანამშრომლები და კონსულტანტები** - ტექნოლოგიის გადაცემის პროცესის სიღრმისეული გაგნობის შესაძლებლობა, კავშირები აკადემიურ სექტორთან და კომერციალიზაციის დროს გამოყენებულ ინსტრუმენტები.

სხვა დაინტერესებული მხარეები:

1. **ბიზნეს ასოციაციები** - გამოიკვეთება ბიზნეს-აკადემიური თანამშრომლობის ახალი შესაძლებლობები. ზოგიერთი ბიზნეს ასოციაციას ხელმძღვანელობა გახდა TPPP მრჩეველთა საბჭოს წევრი.
2. **საქართველოს სამეცნიერო საზოგადოება** - გამოიკვეთება ბიზნეს-აკადემიური თანამშრომლობის ახალი შესაძლებლობები. TPPP გაზრდის მათ კომპეტენციას მონაწილეობა მიიღონ სხვა კვლევითი გრანტებში და განავითარონ სამეწარმეო აზროვნება.
3. **მედია და საზოგადოება** - ბიზნეს-აკადემიური თანამშრომლობა ხელს შეუწყობს ქართულ ეკონომიკას.

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა

TPPP გააგრძელებს საჭირო და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებს და უზრუნველყოფს მათ ჩართულობას პროგრამის დაგეგმვისა და განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე:

ა. **TPPP მოახდენს ღონისძიებების ორგანიზებას რათა იდენტიფიცირებული იქნან დაინტერესებული მხარეები და სამიზნე აუდიტორია:**

- შეხვედრები RDI-ებში
- სასწავლო სესიები და საინფორმაციო ვორქშოპებ მკვლევარებისთვის რათა დაეხმარონ მათ TPPP ფორმების შევსებაში
- ხშირად დასმული კითხვების პასუხების გაცემა
- რეგულარული კომუნიკაცია პოტენციულ ბენეფიციარებთან

ბ. **განმეორებადი კომუნიკაციების აქტივობები:**

- რეგულარული ზარები და შეხვედრები ბენეფიციარებთან
- პრეს-რელიზები
- ფოტომასალა და ფოტო სიახლეები
- ღონისძიებებში მონაწილეობა (კონფერენციები, პანელები, პრეზენტაციები)

გ. ბენეფიციარებისგან უკუკავშირის აქტობები:

- წლიურად პროგრამის შესახებ კითხვარი
- ინდივიდუალური შეხვედრები

გრაფიკი

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის შეთავაზებული აქტივობები:

აქტივობა	მეთოდი	დრო	სამიზნე ჯგუფი
სხვა სარეკლამო ღონისძიებები	სხვადასხვა	პროგრამის სრული სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში	სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები
გადაწყვეტილების მიღება	ოფიციალური წარდგენა და გადაწყვეტილების გამოცხადება წერილის საშუალებით	პროგრამის განმავლობაში	დაინტერესებული მხარეები
უკუკავშირი პროექტებთან რომელთა შერჩევაც არ მოხდა	შეხვედრები RDI-ბთან	შეფასების დასრულების შემდეგ, შერჩეულ ბენეფიციარებთან განვითარების ღონისძიებების დაწყებამდე	აპლიკანტები
ზოგადი უკუკავშირი RDI-სთვის	შეხვედრები RDI-ბთან	შეფასების დასრულების შემდეგ, შერჩეულ ბენეფიციარებთან განვითარების ღონისძიებების დაწყებამდე	ის ორგანიზაციები რომლებმაც წარადგინეს პროექტები განსახილვევად

შერჩეული პროექტების განვითარება	პერსონალური შეხვედრები, საკონტრაქტო შეთანხმებები	შერჩევის დასრულების შემდეგ	სხვადასხვა დაინტერესებული მხარეები
---------------------------------	--	----------------------------	------------------------------------

საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების მექანიზმი

GITA-ს არსებული საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების მექანიზმი:

GITA-მ ჩამოაყალიბა საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების მექანიზმე GENIE-ს პროექტისთვის და 2017 წლიდან ინარჩუნებს GRM-ს. ყველა საჩივარი უნდა ჩაინიშნოს და დამუშავდეს აღნიშნული GRM-ს გამოყენებით. ცალკე უნდა განვითარდეს GRM ტექნოლოგიების გადაცემის საპილოტე პროგრამისთვის, რადგან არსებული არ შეესაბამება პროგრამას.

TTPP მენეჯერები ვალდებული არიან უზრუნველყონ თითოეული განაცხადის ობიექტური და სამართლიანი პირველადი შეფასება, პროცესი უნდა იყოს გამჭვირვალე, ყველა განმცხადებელს უნდა ჰქონდეს თანაბარი შესაძლებლობა და დაცული უნდა იყოს ყველა მოქმედი კანონი, დებულება და პოლიტიკა.

საჩივრების მიღება და რეგისტრაცია

საჩივრების წარდგენა შესაძლებელია პირდაპირ GITA-სთვის წერილობითი ან ელექტრონული ფორმით.

ყველას, ვისაც სურს საჩივრის შეტანა, შეუძლია წერილობით განახორციელოს GITA-ს ოფისში, მისამართზე: თბილისში, ინოვაციების ქუჩა 7, ოქროყანა. ასევე, გააგზავნონ ელ.ფოსტით esmf@gita.gov.ge. ეს ინსტრუმენტი უზრუნველყოფს სწრაფ და ფორმალურ საკომუნიკაციო არხს. ელ.ფოსტის მუდმივი თვალყურის დევნება მოხდება, შემდეგ კი ყოველი შემთხვევა გადაეცემა GITA-ს შესაბამის პირს რეაგირებისთვის.

ასევე დამატებითი საკომუნიკაციო არხია სატელეფონო საჩივრის მიღება. GITA-ს შემდეგ ტელეფონის ნომერზე: (+995) 32 2004482 / 169. აღნიშნული განსაზღვრულია მათთვის ვისაც არ აქვთ ელ-ფოსტა.

საჩივრების განხილვისა და დაკმაყოფილების მექანიზმის არსებობის შესახებ ინფორმაცია გავრცელებული იქნება საჯარო შეხვედრების დროს. ასევე აღნიშნული დაიდება GITA-ს ვებ-გვერდზე.

ყველა საჩივრის რეგისტრაცია და კომუნიკაცია აღწერილი და მიღებული იქნება შესაბამისი პირის მიერ.

საჩივრების განხილვა და რეზოლუცია

GITA უზრუნველყოფს, რომ სააგენტოსთვის უშუალოდ წარდგენილი საჩივრები დაუყოვნებლივ იქნას განხილული და რეაგირება მოხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თითოეული საჩივარი აღიარდება მისი წარდგენიდან 24 საათის განმავლობაში და გადაეცემა განსახილველად სააგენტოს შემადგენლობაში შესაბამის პირს. საჩივრის განხილვა, ჩვეულებრივ, გულისხმობს პრობლემური საკითხების წინასწარი განხილვას, სიღრმისეულ შესწავლასა და შეფასებას, შესაძლო ვიზიტს, და მოსარჩელისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ინტერვიუს.

საჩივრების განსახილველი მიზნობრივი ვადაა მისი ოფიციალური რეგისტრაციიდან 10 სამუშაო დღე (თუ საჭირო არ არის საჩივრის ზემდგომ ორგანოსთან გადაგზავნა ან მოითხოვს უფრო მეტ გამოძიებას). GITA-სთვის წარდგენილი საჩივრები მოგვარდება შესაბამისი მხარეების მონაწილეობით (მათ შორის, მომჩივარი მხარე, TTPP კონსულტანტები, არასამთავრობო ორგანიზაციები და ა.შ., საჭიროების შემთხვევაში). GITA-ს გარემოსდაცვითი უსაფრთხოების სპეციალისტი იმოქმედებს, როგორც საკონტაქტო პირი და კოორდინაციას უწევს საჩივრების გადაწყვეტას.

TTPP- ში მიღებული ყველა საჩივარი დაფიქსირდება და GITA ხელმძღვანელობის მიერ დანიშნული პასუხისმგებელი პირის მიერ იქნება მართული.

ანგარიშგება

პროგრამის განხორციელებისას წარმოშობილ საჩივრებთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია, მიღებული საჩივრები და მათი ეფექტური და დროული გადაჭრის გზები და საშუალებები შეგროვდება და განთავსდება მსოფლიო ბანკისთვის წარსადგენ GITA- ს მიერ მომზადებულ ნახევარწლიურ ანგარიშებში.

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ორგანიზება

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობისთვის დაგეგმილი აქტივობები

სამიზნე დაინტერესებული მხარეები	ჩართულობის საკითხი	მეთოდი	ადგილმდებარეობა და სიხშირე	პასუხისმგებლობა
---------------------------------	--------------------	--------	----------------------------	-----------------

საჯარო და კერძო კვლევითი დაწესებულებები	პროგრამის მიმდინარეობა, პროგრამის შესახებ ინფორმაცია, TTPP-ის სარგებელი, პოტენციური ჩართულობისა და პარტნიორობა	ღონისძიების დაწყება, საინფორმაციო შეხვედრები, პერსონალური უკუკავშირი, სამუშაო შეხვედრები	პროგრამის განხორციელების დროს	ტექნოლოგიების გადაცემის ექსპერტები, ტექნოლოგიების გადაცემის კოორდინატორი, ინოვაციების და კომერციალიზაციის დეპარტამენტის უფროსი
მკვლევარები / მეცნიერები	პროგრამის მიმდინარეობა, პროგრამის შესახებ ინფორმაცია, TTPP-ის სარგებელი, განაცხადის პროცედურები, თანხის განაწილების დეტალები და ბენეფიციარი / განმცხადებლის გამოკითხვის შედეგები	ღონისძიების დაწყება, საინფორმაციო შეხვედრები, პერსონალური კავშირი, სამუშაო შეხვედრები	პროგრამის განხორციელების დროს	ტექნოლოგიების გადაცემის კოორდინატორი, ინოვაციების და კომერციალიზაციის დეპარტამენტის უფროსი, პიარ და მარკეტინგის გუნდი
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ხელმძღვანელობა	პროგრამის მიმდინარეობა	პერსონალური შეხვედრები, წერილობითი მოხსენებები	პროგრამის განხორციელების დროს	GITA-ს ხელმძღვანელობა
GITA თანამშრომლები და კონსულტანტები	პროგრამის მიმდინარეობა, ცოდნის გაზიარება	პერსონალური შეხვედრები, წერილობითი მოხსენებები, სამუშაო შეხვედრები	პროგრამის განხორციელების დროს	ინოვაციისა და კომერციალიზაციის დეპარტამენტის უფროსი
პოტენციური განმცხადებლები	განმცხადებელთა კმაყოფილების კვლევები	ონლაინ კვლევა	წლიურად	ტექნოლოგიების გადაცემის კოორდინატორი

პოტენციური ინვესტორები და მეწარმეობის მხარდამჭერი ორგანიზაციები	წარდგენა, პარტნიორობის დამყარება, პოტენციური პარტნიორების დაკავშირება	შეხვედრები, კონფერენციები და ვიზიტები	პროგრამის განხორციელების დროს	ტექნოლოგიები ს გადაცემის კოორდინატორი, ინოვაციების და კომერციალიზაციის დეპარტამენტის უფროსი, პიარ და მარკეტინგის პერსონალი
---	---	---------------------------------------	-------------------------------	--

SEP-ის მონიტორინგი და ანგარიშგება

TTPP პროექტის გუნდი პასუხისმგებელია ყველა საქმიანობის მონიტორინგზე და შეფასებაზე (M&E), დოკუმენტაციასა და კომუნიკაციაზე TTPP-ს მიმდინარეობისა და შედეგების წარდგენაზე, მათ შორის დაინტერესებული მხარის ჩართულობის გეგმის მონიტორინგზე. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის მონიტორინგს განხორციელებს ტექნოლოგიების გადაცემის კოორდინატორი. ტექნოლოგიების გადაცემის კოორდინატორი მარკეტინგის და ღონისძიებების მართვის გუნდის დახმარებით პასუხისმგებელი იქნება მარკეტინგული მასალების მომზადებაზე, ღონისძიებების/კონფერენციების ორგანიზებაზე და კვლევების ჩატარებაზე. TTPP-ს გუნდი, მათ შორის ადგილობრივი და საერთაშორისო ტექნოლოგიების გადაცემის ექსპერტები, ტექნოლოგიების გადაცემის კოორდინატორი ჩაატარებს ინდივიდუალურ შეხვედრებს და ზარებს აპლიკანტებთან. TTPP-ს გუნდი პასუხისმგებელია პროგრესსა და შედეგებზე. პროგრამის საჩივრების მექანიზმის მიხედვით მიღებული უკუკავშირი და საჩივრები შეიტანება წლიურ ანგარიშებში.

SEP-ის რესურსები

ამ დოკუმენტით განსაზღვრული დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის აქტივობები არის პროგრამის განხორციელების შემადგენელი ნაწილი. მათთვის ბიუჯეტი გამოიყოფა ოპერაციული ხარჯიდან და განხორციელდება TTPP ძირითადი გუნდის მიერ - პროექტის მენეჯერი, ტექნოლოგიების გადაცემის კოორდინატორი და გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების სპეციალისტი.

დანართი 1:

განხორციელებული დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის აქტივობები.

1. ტექნოლოგიების საპილოტე პროგრამის დაწყების ღონისძიება

თარიღი	16 მაისი, 2019
ადგილმდებარეობა	ინოვაციების ქ. 7, ტექნოპარკი, ოქროყარა, თბილისი, 0114, საქართველო
მონაწილეები	საზოგადოებრივი და კერძო RDI-ის მენეჯმენტი, RDI პერსონალი, მეცნიერები, აკადემიის სხვა წარმომადგენლები, ბიზნესის წარმომადგენლები, საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები, მსოფლიო ბანკის წარმომადგენლები, საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის წარმომადგენლები, მედიის წარმომადგენლები
გაზიარებული ინფორმაცია	ღონისძიების შესახებ ინფორმაცია გაიზიარა ელ.ფოსტით. სარეკლამო მასალები (TTPP ბროშურის, პრესრელიზები და ა.შ.) დამტკიცდა მსოფლიო ბანკისა და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის მიერ.
გავრცელების საშუალება	ელექტრონული ფოსტით, სატელეფონო ზარებით. შედეგები გაშუქდა სატელევიზიო გადაცემების საშუალებით.

2. საინფორმაციო შეხვედრა საქართველოს მეცნიერთა ეროვნულ აკადემიაში

თარიღი	28 ივნისი 2019
ადგილმდებარეობა	საქართველოს მეცნიერთა ეროვნული აკადემიის საკონფერენციო დარბაზი
მონაწილეები	მეცნიერთა ეროვნული აკადემიის წარმომადგენლები და მეცნიერები
გაზიარებული ინფორმაცია	ინფორმაცია TTPP და მისი პროცესის, ასევე პროგრამის პოტენციური შედეგების შესახებ.
გავრცელების საშუალება	ელექტრონული ფოსტით, სატელეფონო ზარი აკადემიის პრეზიდენტთან

3. TTPP ზოგადი ჩარჩო ხელშეკრულების ხელმოწერა GITA-სა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ

თარიღი	17 ოქტომბერი 2019
ადგილმდებარეობა	ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა
მონაწილეები	GITA თანამშრომლები, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტი, მეცნიერები, სტუდენტები, მედია

გაზიარებული ინფორმაცია	ინფორმაცია TPPP- ს, მისი შესაძლო შედეგების შესახებ, ტექნოლოგიის გადაცემის პროცესზე. TPPP- ს ზოგადი ჩარჩო ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს მხარეებმა. პრესრელიზი დამტკიცდა მსოფლიო ბანკის და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის მიერ. https://youtu.be/D90_dso9iIw
გავრცელების საშუალება	ელექტრონული ფოსტით, სოციალური მედიით, TV გადაცემებით

4. TPPP ზოგადი ჩარჩო ხელშეკრულების ხელმოწერა GITA-სა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ

თარიღი	12 ნოემბერი 2019
ადგილმდებარეობა	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
მონაწილეები	GITA თანამშრომლები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტი, მეცნიერები, სტუდენტები, მედია
გაზიარებული ინფორმაცია	ინფორმაცია TPPP- ს, მისი შესაძლო შედეგების შესახებ, ტექნოლოგიის გადაცემის პროცესზე. TPPP- ს ზოგადი ჩარჩო ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს მხარეებმა. პრესრელიზი დამტკიცდა მსოფლიო ბანკის და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის მიერ. https://youtu.be/hjk5eXCfmko
გავრცელების საშუალება	ელექტრონული ფოსტით, სოციალური მედიით,

5. ინდივიდუალური შეხვედრები უნივერსიტეტთან და RDI-ბთან

თარიღი	აპრილი – სექტემბერი
ადგილმდებარეობა	სხვადასხვა უნივერსიტეტი/ RDI
მონაწილეები	RDI/ უნივერსიტეტის მენეჯმენტი, მეცნიერები
გაზიარებული ინფორმაცია	ინფორმაცია TPPP და მისი პროცესის, ასევე პროგრამის პოტენციური შედეგების შესახებ.
გავრცელების საშუალება	ელექტრონული ფოსტით, სატელეფონო ზარებით

6. საინფორმაციო სესია და სემინარი TPPP განაცხადის პროცესისა და ფორმების შესახებ

თარიღი	
ადგილმდებარეობა	GITA ტექნოპარკი

მონაწილეები	TTPP აპლიკანტები
გაზიარებული ინფორმაცია	ინფორმაცია TTPP- ს, ტექნოლოგიის გადაცემის შესახებ, TTPP ფორმების დეტალური განხილვა, კითხვა პასუხის რეჟიმი.
გავრცელების საშუალება	ელექტრონული ფოსტით, სატელეფონო ზარებით